



სსიპ შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

2 ივლისი 2025

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 96

2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის  
გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების  
დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 2 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N798152) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს 2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებისთი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილის ფორმა პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დამტკიცდეს საბოლოო ქულის დაანგარიშების, სამეცნიერო მიმართულებებში თანხის განაწილებისა და დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართი N13-ის შესაბამისად;
15. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტები - ნინო აბუსელიძე და ანა ფოლოდაშვილი;
16. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
17. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

**2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების  
კონკურსის პირობები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსის (შემდგომში - კონკურსის) მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა, მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობით საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება, სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში პროექტების წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/წ ბრძანების პირველი მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო კლასიფიკატორის (დანართი 12) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

3. კონკურსის ფარგლებში გაიცემა მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტები.

4. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით.

5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №128/წ ბრძანებით დადგენილი წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

**მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები**

1 | დანართი №1. კონკურსის პროგრამა და პირობები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. კონკურსის მონაწილე დოქტორანტს უნდა ჰყავდეს **დისერტაციის ხელმძღვანელი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს დოქტორანტის სადოქტორო-კვლევით პროექტს.
3. კონკურსის მონაწილე დოქტორანტს შესაძლოა ჰყავდეს:
  - ა) **დისერტაციის თანახელმძღვანელი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კონსულტაციას გაუწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისას.
  - ბ) **კონსულტანტი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც დოქტორანტს გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას კვლევის პროცესში.
4. პროექტის ფარგლებში უცხოეთში კვლევითი ვიზიტის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტს უნდა ჰყავდეს **კონსულტანტი**, რომელიც დოქტორანტს გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას უხოეთში განსახორციელებელი კვლევის პროცესში.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში დოქტორანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის წარდგენა.
6. დოქტორანტს, რომელიც არის 2014-2024 წლებში გამოცხადებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული, არ აქვს 2025 წლის ამავე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება.
7. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და/ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

**მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსისათვის წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 36 თვე. თითოეული საანგარიშო პერიოდი უნდა შეადგენდეს 6 თვეს.
2. პროექტის პირველი პერიოდი უნდა იწყებოდეს 2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში.
3. ფონდიდან მოთხოვნილი წლიური ბიუჯეტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 21 000 ლარს (წელიწადში იგულისხმება პირველი და მეორე პერიოდებისათვის, მესამე და მეოთხე პერიოდებისათვის, მეხუთე და მეექვსე პერიოდებისათვის მოთხოვნილი დაფინანსების ჯამი).
4. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება და პროექტის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სტუდენტურ სტატუსს და სასწავლო სემესტრს შემდეგი სქემის შესაბამისად:

აქტიური სტუდენტური სტატუსის მქონე დოქტორანტისათვის, რომლისთვისაც მიმდინარეობს	შეჩერებული სტუდენტური სტატუსის მქონე დოქტორანტისათვის, რომელსაც დასრულებული აქვს	პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა	ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა
---	ნული სემესტრი	36 თვე	63 000 ლარი

პირველი სემესტრი	ერთი სემესტრი	30 თვე	52 500 ლარი
მეორე სემესტრი	ორი სემესტრი	24 თვე	42 000 ლარი
მესამე სემესტრი	სამი სემესტრი	18 თვე	31 500 ლარი
მეოთხე სემესტრი	ოთხი სემესტრი	12 თვე	21 000 ლარი
მეხუთე ან მეტი სემესტრი	ხუთი ან მეტი სემესტრი	6 თვე	10 500 ლარი

4. პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) **დოქტორანტის სტიპენდიას** – ერთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფონდიდან მოთხოვნილი სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს 5 250 ლარს.

ბ) **სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯს** – შეიძლება ითვალისწინებდეს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკის, ლაბორატორიული ჭურჭლისა და სახარჯი მასალების შეძენის ხარჯებს, ექსპედიციის/საველე სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებს (გარდა დღიური ხარჯებისა).

გ) **პროექტის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში** (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოფი, სემინარი და სხვა) **მონაწილეობის ხარჯს** – აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, დღიური ანაზღაურების ხარჯებს, ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის სავალდებულო სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს (მაგალითად, ვიზის მოსაკრებელი, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საკონსულოს არ არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს), აგრეთვე, სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯებს (მაგალითად, კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადს). პროექტის მიზნებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მივლინების ხარჯი ანაზღაურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების პირველი დანართით დადგენილი სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების ნორმების შესაბამისად (მე-3 და მე-5 კომპონენტი).

დ) **დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებს** – 12-36 თვიანი პროექტების შემთხვევაში დოქტორანტის უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 6 თვეს, ხოლო 6 თვიანი პროექტების შემთხვევაში - წელიწადში 3 თვეს. დოქტორანტურის საერთაშორისო ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, შესაძლებელია კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა წელიწადში 12 თვეს შეადგენდეს. დოქტორანტის უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის დაფინანსების ლიმიტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების პირველი დანართით დადგენილი სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ნორმების შესაბამისად (მე-4 და მე-5 კომპონენტი).

ე) **სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯებს** – შეიძლება ითვალისწინებდეს დოქტორანტურაში სწავლის საფასურს (საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის ჩათვლით), ბეჭდური/ელექტრონული ლიტერატურის და კომპიუტერული პროგრამის შეძენის ხარჯს, პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან და პატენტის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, საკანცელარიო, ქვეყნის შიგნით

სამივლინებო და სხვა ისეთ ხარჯებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ პუნქტის ა-დ ქვეპუნქტებით.

6. პროექტს შეიძლება ჰქონდეს თანადაფინანსება (დამატებითი ფინანსური წყარო), რომელიც ნაწილობრივ დაფარავს პროექტის საერთო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილს.
7. სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, მობილური ტელეფონის შეძენა, დამხმარე პერსონალის დაქირავება, სხვა ფიზიკური პირისათვის შრომის ანაზღაურების გადახდა.
8. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

#### **მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები**

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

ა) **კრებსითი ინფორმაცია** პროექტის შესახებ (დანართი 2, ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში, GMUS (Grants Management Unified System) პროექტის რეგისტრაციის დროს).

ბ) **საპროექტო წინადადება** - ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტების სახით).

გ) **დოქტორანტის, დისერტაციის ხელმძღვანელის, ასევე თანახელმძღვანელის ან/და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV-ები)** – დოქტორანტი, დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში, მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება, ექსპორტირდება CV-ები ინგლისურ და ქართულ ენებზე და დოქტორანტის მიერ იტვირთება PDF დოკუმენტების სახით პროექტის წარდგენისას (დანართი 4); უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია, CV-ების ინგლისური და ქართული ვერსიები წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმატით. ქართულენოვან CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე, ხოლო ინგლისურენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით.

დ) **საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა 2025 წლის მდგომარეობით, საიდანაც დასტურდება მისი აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით. **უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტისათვის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს წარმოდგენილი დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა 2025 წლის მდგომარეობით ან/და დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდის ბმული, საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია.

ე) პროექტის განხორციელების **გეგმა-გრაფიკი** ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 5, ივსება GMUS-ში).

ვ) პროექტის **ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 6, ივსება GMUS-ში).

ზ) **კონსულტანტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **თანხმობის წერილი** (დანართი 7). უცხოელი მეცნიერის შემთხვევაში, ინგლისურენოვანი თანხმობის წერილის ქართული თარგმანი

დამოწმებული უნდა იყოს ავტორიზებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS-ში);

თ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი თანხის მითითებით, დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ ცნობა გაცემულია ინგლისურ ენაზე, მას თან უნდა დაერთოს ავტორიზებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული შესაბამისი ქართული თარგმანი (დანართი 8, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

ი) ცნობა დოქტორანტურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ (დანართი 9). ცნობაში სავალდებულოა მითითებული იყოს: სადოქტორო პროგრამის სახელწოდების, ჩარიცხვის თარიღის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დისერტაციის ხელმძღვანელის (საბჭოს მიერ დამტკიცებული ან სავარაუდო), თანახელმძღვანელის (საბჭოს მიერ დამტკიცებული ან სავარაუდო, ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელები, აკადემიური ხარისხი, სამუშაო ადგილი/პოზიცია, სადისერტაციო თეზისის სავარაუდო სახელწოდება, დოქტორანტის ამჟამინდელი სტატუსი (აქტიური/შეჩერებული) და ამჟამინდელი სასწავლო სემესტრი. ცნობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და გაცემული უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების შემდეგ. ცნობა უნდა აიტვირთოს დანართი 9-ის სახით, ან წარმოდგენილი უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სატიტულო ფურცელზე - აღნიშნული ინფორმაციის მითითებით (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

კ) სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილი პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, გარდა დოქტორანტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა). თანხმობის წერილი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ თანხმობის წერილი გაცემულია ინგლისურ ენაზე, მას თან უნდა დაერთოს ავტორიზებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული შესაბამისი ქართული თარგმანი (დანართი 10, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

ლ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 11, გენერირდება GMUS-დან).

2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:
  - ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები (ლარის), რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება სასწავლო-კვლევითი გრანტის სახსრების ჩარიცხვა;
  - ბ) ცნობა 2025 წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ.
3. დოკუმენტს, რომლის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია, თან ახლდეს შესაბამისი ქართული თარგმანი, რომელიც დამოწმებული იქნება ავტორიზებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

## მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება 2 ეტაპად:
  - ა) პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში <http://gmus.rustaveli.org.ge> – 2 ივლისიდან 30 ივლისის 16:00 საათამდე;
  - ბ) რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 12 აგვისტოს 18:00 საათამდე.
2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის

ერთიან სისტემაში (GMUS) დარეგისტრირებულნი იყვნენ პროექტში ჩართული იურიდიული და ფიზიკური პირები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ჩარიცხულია კონკურსის მონაწილე დოქტორანტი, დისერტაციის ხელმძღვანელი, ასევე დისერტაციის თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ა) პროექტში ჩართული იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს-უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2025 წელს გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით; ბ) პროექტში ჩართული ფიზიკური პირების (დოქტორანტი, დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი) რეგისტრაციისათვის საჭიროა GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და ბიოგრაფიული მონაცემების შევსება. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამატებით ასევე საჭიროა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება (დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტების სახით);

გ) თითოეული პირი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე.

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში.

4. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმოწერებით, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება კონკურსის ელექტრონული ბაზიდან).

5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილია „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“.

## მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით – 2 ივლისი;
- ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია – 2 ივლისიდან - 30 ივლისის 16:00 საათამდე;
- გ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფობდის ვებგვერდზე;
- დ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა – 12 აგვისტოს 18:00 სთ-მდე;
- ე) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი

განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა – აგვისტო-სექტემბერი

ვ) შუალედური შედეგების გამოქვეყნება – ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ – სექტემბერი;

ზ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ – ოქტომბერი;

თ) დამოუკიდებელი ექსპერტებისგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება – ოქტომბერი-ნოემბერი;

ი) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება – ოქტომბერი-ნოემბერი;

კ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება – ოქტომბერი-ნოემბერი.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

3. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

### **მუხლი 7. პროექტების შეფასება**

1. კონკურსში მონაწილე პროექტები შეფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ზ ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებით.

2. სამეცნიერო მიმართულებებისა და ქვემიმართულებების მიხედვით საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის გადანაწილება და ექსპერტებისაგან და/ან ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა განხორციელდება დანართი №13-ით დადგენილი წესით.

3. ფონდის გენერალური დირექტორი ამტკიცებს ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობას.

4. ექსპერტთა ჯგუფები საკუთარი შემადგელობიდან ირჩევენ ჯგუფის თავმჯდომარეს. ჯგუფის მდივანი განისაზღვრება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ექსპერტთა ჯგუფები აფასებენ პროექტებს, ხმათა უმრავლესობის საფუძველზე წერენ ქულებსა და კომენტარს თითოეული პროექტისათვის. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. ჯგუფის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი.

5. ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით ფონდი უზრუნველყოფს დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას.

6. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის საკუთარი პროექტების შეფასებების გაცნობას GMUS-ში.

### **მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება**

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება დოქტორანტებთან, რომლებიც წარმოადგენენ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საგრანტო ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესების დაცვით.

### **მუხლი 9. ანგარიშგება და მონიტორინგი**

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს პროექტის განხორციელების ანგარიში გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

2. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის განხილვის აქტებს.

3. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე ფონდი ავანსის სახით გადარიცხავს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს.

4. ფონდს არ აქვს ვალდებულება მონიტორინგი განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით.

5. ფონდი უფლებამოსილია შეაფასოს მიმდინარე პროექტების განხორციელების პროცესი, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა დარგის ექსპერტის მონაწილეობით. შუალედური/საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასების პროცესში.

6. ფონდი უფლებამოსილია აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

7. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.

### **მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება**

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების მე-13 მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გამარჯვებული დოქტორანტების მიმართ**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღები დოქტორანტი, რომელიც არის ფონდის მიერ დაფინანსებული 2016 წლის სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო

პროექტის ძირითადი პერსონალი, ვედარ ისარგებლებს აღნიშნული ინსტიტუციური გრანტით გათვალისწინებული სტიპენდიით და ვალდებულია აცნობოს პროექტის ხელმძღვანელს ამის შესახებ.

2. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა ასეთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის რეიტინგული ჟურნალები, კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია Scimago Journal Ranking რეიტინგში ან/და Elsevier (Scopus და ScienceDirect), Web of Science, ERIH plus ბაზებში.

3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში სავალდებულოა მითითებული იყოს შემდეგი ჩანაწერი: „კვლევა [გრანტის ნომერი] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“/ „This research [grant number] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“. ასეთი ჩანაწერის გარეშე გამოქვეყნებული პუბლიკაცია ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას არ განიხილება. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

4. გრანტის სახსრებით შექმნილ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგოს განთავსება და ჩანაწერი: „კვლევა [გრანტის ნომერი] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“/ „This research [grant number] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“.

5. პროექტის ფარგლებში შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ღიად ხელმისაწვდომი.

6. ფონდი იტოვებს უფლებას გრანტის მიმღებთა მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)  
პროექტის რეგისტრაციის დროს

**კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ**  
**Cover Page**

**I გვერდი**  
**ზოგადი ინფორმაცია**  
**General Information**

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	<input type="checkbox"/> 6 <input type="checkbox"/> 12 <input type="checkbox"/> 18 <input type="checkbox"/> 24 <input type="checkbox"/> 30 <input type="checkbox"/> 36
	Project duration (months)	
3	უცხოეთში კვლევითი ვიზიტი	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
	Research visit abroad	
4	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
	Requested funding from the SRNSFG (GEL)	
5	თანადაფინანსების თანხა (ლარი)	
	Co-funding (GEL)	
6	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
	Total budget (GEL)	
7	საპროექტო წინადადება (ქართული)	PDF ფაილის ატვირთვა
	Project proposal (ENG)	PDF file upload
8	აბსტრაქტი	
	Abstract (ENG)	
<b>ინფორმაცია უცხოეთში კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების შესახებ</b>		
<b>Information about research visit / internship abroad</b>		
9	ინსტიტუტის სახელწოდება	
	Institution	
10	ქალაქი	
	City	
11	ქვეყანა	
	Country	
12	კონსულტანტი (სახელი, გვარი)	
	Advisor (name, surname)	
13	უცხოეთში კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების ხანგრძლივობა	
	Duration of research visit/internship abroad	

ინფორმაცია ფონდის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ Information on participation in grant calls		
14	დოქტორანტის მონაწილეობით ფონდის დაფინანსებით განხორციელებული და დასრულებული კვლევითი პროექტები	მიუთითეთ პროექტის შიფრ(ებ)ი
	Conducted and completed research funded by the foundation with participation of PhD student	Project ID(s)
15	დოქტორანტის მონაწილეობით ფონდის დაფინანსებით მიმდინარე კვლევითი პროექტები	მიუთითეთ პროექტის შიფრ(ებ)ი
	Ongoing research projects funded by the foundation with participation of PhD student	Project ID(s)
16	დოქტორანტის მონაწილეობით წარდგენილი განაცხადები ფონდის მიმდინარე წლის კონკურსებში	მიუთითეთ პროექტის შიფრ(ებ)ი
	Research projects submitted within 2024 calls of the foundation with the participation of PhD student	Project ID(s)
17	პროექტი ხელმეორედ მონაწილეობს კონკურსში	მიუთითეთ წინა წლების კონკურსებში მონაწილე და დაუფინანსებელი პროექტ(ებ)ის შიფრ(ებ)ი
	Project's resubmission in the call	Indicate the ID(s) of the project submitted but not funded in the previous years

18	სამეცნიერო მიმართულებები Scientific Fields	
	მიმართულება Field	
	ქვემიმართულება Sub-field	
		1
		2
		3
19	პროექტით გათვალისწინებული კვლევის საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა) Project proposal keywords (no more than 5 terms)	

20	არასასურველი ექსპერტები Excluded reviewers	
N	სახელი, გვარი Name, Surname	ინსტიტუცია Institution
1		
2		
3		

II გვერდი  
ორგანიზაცია  
Organization

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ Information about HEI		
1	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	
	ID Code	
2	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
	Higher Education Institution	
3	კვლევითი ინსტიტუცია	
	Research institution	
4	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი/რექტორი (სახელი გვარი)	
	Head of the host institution/Rector (name, surname)	
5	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
	Webpage of HEI	
6	ელ. ფოსტა	
	E-mail	
7	ტელეფონი	
	Phone number	
8	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	

ინფორმაცია იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about the organization/individual, providing research infrastructure for the project (if applicable)		
9	იურიდიული პირის სახელწოდება	
	Name of the legal entity	
10	უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი)	
	Authorized person (name, surname)	
11	ელ.ფოსტა	
	E-mail	
12	ტელეფონი	
	Phone number	
13	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
14	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment	PDF file upload
15	ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Natural person (name, surname)	
16	ელ. ფოსტა	
	E-mail	
17	ტელეფონი	
	Phone number	
18	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა

Letter of commitment	PDF file upload
----------------------	-----------------

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-funding organization and/or co-funding individual (if applicable)		
19	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის სახელწოდება Name of Co-funding legal entity	
20	მისამართი Address	
21	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ) Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
22	თანხმობის წერილი Letter of co-funding commitment	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
23	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი) Co-funding natural person (Name, Surname)	
24	ელ. ფოსტა E-mail	
25	ტელეფონი Phone number	
26	თანხმობის წერილი Letter of co-funding commitment	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload

**III გვერდი**  
**პროექტში ჩართული პერსონალი**  
**Project personnel**

ინფორმაცია პროექტში ჩართული პერსონალის შესახებ Information about personnel involved in the project		
<b>დოქტორანტი</b> <b>PhD student</b>		
1	პირადი ნომერი ID number	
2	სახელი, გვარი Name, surname	
3	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
4	CV	PDF file upload
5	ცნობა დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ Reference for the PhD student	PDF ფაილის ატვირთვა
6	ელ. ფოსტა E-mail	
7	ტელეფონი Phone number	
<b>დისერტაციის ხელმძღვანელი</b> <b>Thesis Supervisor</b>		
8	პირადი ნომერი ID number	
9	სახელი, გვარი Name, surname	
10	აკადემიური ხარისხი Academic degree	

11	თანამდებობა Position	
12	აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი) Affiliation (University/Institute/Center/School/Department)	
13	ელ. ფოსტა E-mail	
14	ტელეფონი Phone number	
15	ბიოგრაფია (CV) CV	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
<b>სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი</b> <b>Head of Doctoral programme</b>		
16	სადოქტორო პროგრამის სახელწოდება Doctoral programme title	
17	სახელი, გვარი Name, surname	
18	ელ. ფოსტა E-mail	
19	ტელეფონი Phone number	
<b>დისერტაციის თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</b> <b>Thesis Co-supervisor (if applicable)</b>		
20	პირადი ნომერი ID number	
21	სახელი, გვარი Name, surname	
22	აკადემიური ხარისხი Academic degree	
23	თანამდებობა Position	
24	აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი) Affiliation (University/Institute/Center/School/Department)	
25	ელ. ფოსტა E-mail	
26	ტელეფონი Phone number	
27	ბიოგრაფია (CV) CV	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
<b>კონსულტანტი (საქართველოს მოქალაქე) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</b> <b>Advisor (if applicable)</b>		
28	პირადი ნომერი ID number	
29	სახელი, გვარი Name, surname	
30	აკადემიური ხარისხი Academic degree	
31	თანამდებობა Position	
32	აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი)	

	Affiliation (University/Institute/Center/School/Department)	
33	ელ. ფოსტა E-mail	
34	ტელეფონი Phone number	
35	ბიოგრაფია (CV) CV	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
36	თანხმობის წერილი* Letter of commitment	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
37	ცნობა სამსახურიდან * Employment certificate	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
<b>კონსულტანტი (უცხო ქვეყნის მოქალაქე) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Foreign Advisor (if applicable)</b>		
38	სახელი, გვარი Name, surname	
39	აკადემიური ხარისხი Academic degree	
40	თანამდებობა Position	
41	აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი) Affiliation (University/Institute/Center/School/Department)	
42	ელ. ფოსტა E-mail	
43	ტელეფონი Phone number	
44	ვებ-გვერდი Webpage	
45	ბიოგრაფია (CV) CV	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
46	თანხმობის წერილი* Letter of commitment*	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
47	ცნობა სამსახურიდან Employment certificate	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload

**IV გვერდი**  
**გეგმა-გრაფიკი**  
**Project Timeframe**

ივსება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენებზე  
Fill in GMUS

**V გვერდი**  
**ბიუჯეტი/ბიუჯეტის დასაბუთება**  
**Budget/Budget justification**

ივსება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენებზე  
Fill in GMUS

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი

საპროექტო წინადადება

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - მაქსიმუმ 10 გვერდი ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen; ზომა: 11.

პროექტის სათაური	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	

(შენიშვნა: პროექტის ხელმეორედ წარმოდგენის შემთხვევაში, გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ საპროექტო წინადადების რომელი კომპონენტებია გაუმჯობესებული. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა)

1. პროექტის სამეცნიერო ღირებულება

ა) პროექტის ღირებულება და მნიშვნელობა, კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე (პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა. დაასაბუთეთ, თუ რატომ არის პროექტი ღირებული, მნიშვნელოვანი და აქტუალური, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევითი პროექტი, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე; აღწერეთ შემოთავაზებული კვლევის მეცნიერული სიახლე. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 800 სიტყვა)

ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები

(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები და ეტაპები, მოსალოდნელი შედეგების მითითებით. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა)

გ) კვლევის მეთოდოლოგია

(კვლევის ეტაპებისა და დიზაინის აღწერა - მიდგომა/თანმიმდევრულობა/თავისებურება; აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია და დაასაბუთეთ მეთოდოლოგიის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; აღწერეთ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული შეზღუდვები/ლიმიტები და უპირატესობები. კვლევის განხორციელების ეტაპები და აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს გეგმა-გრაფიკს, რომელიც წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს და ივსება GMUS-ის ბაზაში. სიტყვების რეკომენდებული მოცულობა 400 სიტყვა.)

დ) ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან

(აღწერეთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა, აგრეთვე, აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტის მიზნებისათვის დაგეგმილი სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების საჭიროება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მივლინების/სტაჟირების თემატიკა და ამოცანები, მიმღები ინსტიტუტის შერჩევის პრინციპი, მიმღები ინსტიტუტის/კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300 სიტყვა)

## 2. პროექტის განხორციელება

ა) პროექტისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან (შეავსეთ ცხრილი)

კვლევისათვის საჭირო აპარატურა და მასალები			
№	დასახელება	არსებული (მიუთითეთ ადგილმდებარეობა) <sup>1</sup>	შესაძენი (მიუთითეთ ადგილმდებარეობა)
1			
2			
3			
4			
n			
დაასაბუთეთ კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან (მაქსიმუმ 200 სიტყვა)			

ბ) პროექტის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკები, წინააღმდეგობები, პრობლემები და მათი შემცირების/აღმოფხვრის გზები

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა)

გ) კვლევის შედეგების გავრცელების მეთოდოლოგია

აღწერეთ კვლევის მიზნების/ამოცანების შესრულების საფუძველზე რა სახის სამეცნიერო პროდუქტი შეიქმნება და დაასაბუთეთ კვლევის შედეგების გავრცელების მეთოდი (დისემინაცია, ვალორიზაცია, კომუნიკაცია). სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა)

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის გეგმა-გრაფიკი (დანართი 5), ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 6) ივსება GMUS-ის შესაბამის ველებში და წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს.

<sup>1</sup> მიუთითეთ ადგილმდებარეობა - დააკონკრეტეთ აპარატურის/ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილი (ფაკულტეტი/დეპარტამენტი/ლაბორატორია)

## Call for Doctoral Educational Programmes

## Project Proposal

Recommended length of the project proposal: maximum 10 pages in total, including timetables, diagrams, illustrations and references. Page margins: left, right, top and down - minimum 1.5 cm, line spacing: minimum 1, font – Sylfaen, size 11.

Project title	
Project duration (months)	

(Note: In case of project resubmission, please, briefly describe, which components of the project proposal have been improved. Recommended word count – 200 words)

### 1. Scientific value of project

